№ 83 აპრილი 16, სამშაბათი 1891 აპრილი 16, სამშაბათი № 83


| გაზეთის ფასი | | | |
|---|---|---|---|
| თვე | მან. კ. | თვე | მან. კ. |
| 12 | 10 — | 6 | 6 — |
| 11 | 9 50 | 5 | 5 50 |
| 10 | 8 75 | 4 | 4 75 |
| 9 | 8 — | 3 | 3 50 |
| 8 | 7 25 | 2 | 2 75 |
| 7 | 6 50 | 1 | 1 50 |

ცალკე ნომერი — ერთი შაური


# ივერია

გაზეთის დასაბეჭდად და ყველა განცხადებათ დასაბეჭდად უნდა მიჰმართონ: თვითონ რედაქციას გუკიაში, ავჭალის ქუჩა, თ. ვარანცოვის ძეგლის პირდაპირ, თავ. გრუზინსკის სახლებში. წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების კანცელარიას სათავად-აზნაურო ბანკის სახლებში სასახლის ქუჩაზედ.

ფასი განცხადებისა: ჩვეულებრივი სტრიქონი რვა კაპეიკი.

1877—1891 სამოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი 1877—1891

## ივერია

გამოვა 1891 წელსაც იმავე პროგრამით, როგორც აქამდე.

**ვისაც სურს დაიბეჭდოთ გაზეთი ამ 1891 წლისთვის, მიჰმართოს:**

ტფილისში: ა) თვითონ რედაქციას, ნიკოლოზის ქუჩაზედ, ვარანცოვის ძეგლის პირდაპირ, თ. გრუზინსკისეულ სახლებში, № 21; ბ) „ქართველთა-შორის წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების“ კანცელარიას, სასახლის ქუჩაზედ, თავად-აზნაურთა სადგილ-მამულო ბანკის ქარვასლის გვერდით.

**ტფილისის გარედ მცხოვრებთა უნდა დაიბარონ გაზეთი შემდეგის ადრესით:**
**Въ Тифлисъ. Въ редакцію газеты „ИВЕРІЯ“.**

რედაქცია ამასთანავე აცხადებს, რომ იგი გაზეთის გაგზავნის გამო პასუხს მაშინ აძლევს მარტო იმ ხელის-მომწერთა წინაშე, ვინც გაზეთის დასაბარებლად ფულს პირდაპირ რედაქციაში და ან „წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოებას“ კანცელარიაში წარმოადგენს, ანუ გამოგზავნის.

გაზეთის ფასი დაბეჭდილია გაზეთის თავშივე, ხოლო სრული პირობანი განცხადების დაბეჭდვისა ...

### საყმაწვილო სურათებიანი ჟურნალი
### „ჯეჯილი“

გამოვა 1891 წელსაც, ... იმავე პროგრამით, როგორც ამ წელს. ჟურნალი „ჯეჯილი“ ტფილისში დაბარებით ღირს—3 მან., ტფილისს გარეშე გაგზავნით 4 მან.

ხელის მოწერა მიიღება:
1) ტ ფ ი ლ ი ს შ ი — „წერა-კითხვის საზოგადოების“ კანცელარიაში (Дворцовая ул., д. Зем. Банка, № 102) და თვით „ჯეჯილის“ რედაქციაში (Барятинская ул., д. № 8)
2) ქ უ თ ა ი ს შ ი — ...
3) გ ო რ შ ი — ...
4) ბ ა თ უ მ შ ი — ...

ფოსტის ადრესი: *Въ Тифлисъ, въ редакцію грузинскаго дѣтскаго журнала „Джеджили“.*

რედაქტორ-გამომცემელი ან. თუმანიშვილისა.

---

გამგე კომიტეტი „ტფილისის გუბერნიის თავად-აზნაურთა სამოგადოების შეუძლებელ მოსწავლეთა შემწეობისთვის“ უმორჩილესად სთხოვს შემოსწირველ საზოგადოების წევრთ მობრძანდნენ საზოგადო კრებაზედ ამ 1891 წლის 16 მაისს, საღამოს 7 საათზედ, სათავად-აზნაურო ბანკის სადგურში.

**განსახილველი საგნები:**

1) წლიური ანგარიში საზოგადოებისა 1890 წლის პირველ აპრილიდგან 1881 წლის პირველ აპრილამდე; მოხსენება გამგე კომიტეტისა ტფილისის სათავად-აზნაურო სკოლის საქმეების შესახებ.

2) ხარჯთ-აღრიცხვა ამ 1891 წლის პირველ მაისიდგან მომავალ 1892 წლის პირველ მაისამდე.

**ტფილისის სათავად-აზნაურო ბანკის ზედამხედველი კომიტეტი** აუწყებს მთ ბანკის გამყიდველთ წევრთ და წევრთ მოვალეებს, რომ თანახმად § 82 ბანკის წესდებისა 14 მაისს 10 საათზედ დილით ამ 1891 წლისა სათავად-აზნაურო ბანკის სადგურში სასახლის ქუჩაზედ დანიშნულია საზოგადო კრება.

კრებამ უნდა განიხილოს და დაამტკიცოს შემდეგი საგნები:

1) ანგარიში ბანკის მოქმედებისა 1890 წლის განმავლობაში.

2) განხილვა და დამტკიცება ამ 1891 წლის სამეურნეო ხარჯთ აღრიცხვისა.

3) მოხსენება იმისა, თუ როგორ განაწილდეს ხაზ-ეულეთთა საპენსიო სათვის 3½% წმინდა მოგებისა.

4) მოხსენება შეწყობის დანიშვნის შესახებ სატეხნიკო სასწავლებლისათვის, რომელიც ტფილისში უნდა გაიმართოს.

5) მოხსენება და ანგარიში ვაზის წამლობის შესახებ.

6) მოხსენება იმ ქონებათა შესახებ, რომლებიც ბანკს დარჩა.

7) მოხსენება იმის შესახებ, თუ როგორ შეიცვალოს და შეივსოს ზოგიერთი §§ ბანკის წესდებისა.

8) მოხსენება ბანკის აგენტთა დასახელების შესახებ.

9) განხილვა და დამტკიცება პროექტისა იმის შესახებ, თუ როგორ განაგოს ბანკი კრებებს.

10) მოხსენება შესახებ წერა-კითხვის გამავრცელებლის საზოგადოებისთვის ადგილის დათმობისა.

11) არჩევანი ზედამხედველ კომიტეტის წევრთა, გამგეობის თავმჯდომარისა, ნაცვლად თ-დის ილია გრიგოლის ძის ჭავჭავაძისა, დამფასებელი კომისიის თავმჯდომარისა, ნაცვლად კოსტანტინე ლორთქიფანიძის ძის უფლებისა, და იმის კანდიდატისა. (3—1)

## ფელეტონი

### წერილი მოსკოველ მეგობართან

ძმაო ლუკა, კარგა ხანია მინდოდა მოგწერო შენთან წერილი, მაგრამ ვერ მოგწერე აქამდის, რადგან მეგონა მალე გამოვეშურებოდი მინდოდა ... და ბოლოს როდის ... ჩვენს ქმურის სტუდენტების წრეში, ... ბოლო ... ...

რაღა თქმა უნდა, წაიკითხავდი გაზეთებში, რა ამბები მოხდა ზარში იმერეთში ... ...

კეთილი ერთ მოაბერხა რა იმის შერე, რომ ... შეიძლება ... ... ... ... ...

ჩვენი „მეგობრები“ იმას გაიძახიან, ... ... ... რომ ... ... — ხელოვნობს გამო მაინც — და საქ...

### ახალი ამბავი

*** ამას წინად ნათქვამი გვქონდა, ზოგიერთი ევროპის ცეცხლობენ სოფლელებისგან ჩვენს ქალაქში შემოტანილი ხორაგეულობა ხელში ჩაიგდონ, რომ მერე თავის ნებაზე ჰყიდონ, რა ფასადაც უნდათო. ერთი ამისთანა მოვაჭრეთაგანი კარაპეტა კოსტანოვი აღმოჩნდა, რომელსაც ოქმი კიდეც შეუდგინეს და საქმე სასამართლოს გადასცეს. ეხლა კიდევ აღმოჩნდნენ: სხვები ამისთანები შაბათს, 13 აპრილს, ტფილისის მაზრის, სოფ. ყარაჯალახის მცხოვრებლებმა ამირ პანკალო-ოღლიმ, ხალილა-ნაღუფ-ოღლი ... და სხვ. ქალაქში მართლაც ქალაქის თავის მოადგილეს და სა-ჯიანტ, რომ წინადღით ჩამოყვანილი ... იქ უნდა ... რადგან ... ... ...

*** იქაურ ... ... რომ ... „ზრდილნი არიან იმერნი“?

ამის პასუხად ... ... 1887 წელს და რომლის ... ... ... ... ...

... ... და იქამდე ... ... ისინი იქნებოდნენ. სამღურავი რომ გამოუცხადეთ, ... დაგეიწყეს და ... 14 მანეთი ფული დაჰკარგა.

სოფლელები მეურნეობასა ... ... ... ...

*** მას აქეთ, რაც „სასტუმრო მუზეუმ“ შენდება ალექსანდრეს ბაღის ზემო ნაწილში, ბულვარის პირად, ეს ბაღი სრულებით შეკრულია ამ მხრით. ეს შენობა დღეს თითქმის დამთავრებულია, მაგრამ ბაღი მაინც შეკრულია.

წარსულის თვეის 18 რიცხვს საბჭომ დაავალა ქალაქის გამგეობა, სთხოვოს სამხედრო საინჟინრო სამართველოს გაიღონ ბაღი ხალხისათვის. ... ... ...

*** ხანი: დღეს, 12 აპრილს, ... ... ...

*** იქიდამვე: წარსულ კვირას, ...

7 აპრილს, ხონის წმინდის გიორგის ეკკლესიაში გარდახდილ იქმნა პანაშვიდი ღვთივ-განსვენებულის დიდი მთავრის ... ... ...

*** თემურ-ხან-შურა: აქ ერთ დედაკაცს აქვს ძველი და ძალიან ძვირფასი ხატი, რომელიც, როგორც ამბობენ, 200 თუმანი ჰღირსო. ეს ხატი სულ მოოქროვილია და ... ... 300—400 წლისაც იქმნება. ... ...

*** 14 აპრილს, საღამოს 6 საათზე ... ...

*** ... ...

*** 15 აპრილს ... ...

*** 14 და 15 აპრილს დღეებსა, ... 108 ...

### რა შეუძლია ერთის ადამიანის სამეურნეობას?

(დასასრული. იხ. „ივერია“ № 82)

... ... ...

ეროვნული ბიბლიოთეკა

მატებით გათამამებულმა მასემ საზოგადოების სამოქმედო ასპარეზის გაფართოება მოინდომა. მისი სურვილი იყო, რომ ახალ საზოგადოებაში მთელს საფრანგეთს მიეღო მონაწილეობა. ახალმა საზოგადოებამ, გარდა სასოფლო წიგნთ-საცავებისა, უნდა გამმართოს საჯარო წიგნთ-საკითხავი დაბალ ხალხისათვის, საღამური სკოლები დიდებისათვის, სკოლები ყმაწვილებისათვის, სახალხო კლუბები, და ყოველ-გვარი ღონისძიება უნდა მიიღოს ხალხის სწავლისა და გონების განვითარებისათვის. მასემ გეგმა ახალი საზოგადოებისა 25 ოქტომბერს 1866 წ. დაბეჭდა გაზეთში და სთხოვა საზოგადოებას: ვისაც-კი ერისა და ქვეყნისათვის გული შეგტკივათ, შეეერთდეთ და დაეაარსოთ „სახალხო განათლებისა ლიგა". საწევრო ფულის შეტანა ერთს ფრანკზე ნაკლები აღარ შეიძლებოდა.

მასესაგან გამოქვეყნებული გეგმა ყველას რაღაც ახირებულად ეჩვენა, რადგან მოქმედებისათვის სავალდებულო პროგრამას არ აცხადებდა და სრულს თავისუფლებას აძლევდა ადგილობრივ „წრეებს", რომელთა წევრებს უნდა ეშრომნათ თანახმად პირველი საზოგადოების დედა-აზრისა, ესე იგი თითონ საზოგადოების წევრებს უნდა გაემართათ წიგნთ-საცავები და სხვ. ამიტომ, როცა ხელის-მოწერა გაჰმართა, ბევრმა სთხოვა მასეს ახალი საზოგადოების პროგრამის ახსნა და გარკვევა, რაზედაც მასემ შემდეგი პასუხი გასცა: „ვისაც ლიგის წევრად გახდომა უნდა, ნუ უცდის პროგრამის გამოქვეყნებას, ნურც სამართველოს (ბიუროს) დანიშვნას; შემოვიდენ წევრად უბიურო და უპროგრამო ლიგაში; დარწმუნდნენ რომ იმათ თითონვე უნდა მოაგვარონ საქმე და ადგილობრივ მოთხოვნილებათა შესაფერი პროგრამა თითონვე უნდა შეადგინონ".

მართალია, მასეს ახალმა თამამად გამოთქმულმა აზრმა, ცოტა არ იყოს, ეჭვი აღძრა, მაგრამ საზოგადოებამ მაინც დიდი თანაგრძნობა აღმოუჩინა. სულ პირველად ხელის-მომწერი სამი კაცი იყო: ქვის-მთლელი, რკინის გზის კონდუქტორი და პოლიციის დაბალი მოხელე („დესეტნიკი" ჩვენებურად); თითონ მასე-კი მეოთხე წევრად ჩაეწერა. ამ გვარად ოთხი ხელის-მომწერი ჰყავდა მასეს, როდესაც იმან გაზეთში გამოაცხადა, რომ ლიგა უკვე არსებობსო. ერთი თვის განმავლობაში „ლიგას" 510 წევრი ჰყავდა და წლის დასასრულს კი—4,792. ამას გარდა „ლიგას" რამდენიმე სხვა საზოგადოებაც შეუერთდა, რომელიც არსებობდა იმ ჟამად საფრანგეთში, მდაბიო ხალხში სწავლის გასავრცელებლად.

დაბა-სოფლებშიაც ბევრი ადგილობრივი წრე დაარსდა. თითოეული წრე თავდაპირველად წიგნ-საცავის დაარსებას ჰკიდებდა ხელს. „ლიგის" წევრები იკრიბებოდნენ დანიშნულს დღეს, ადგენდნენ მართველობას, ირჩევდნენ თავ-ჯდომარეს, ჰმართავდნენ ხელის-მოწერას ფულების მოსაკრებად, და მერმე წიგნ-საცავის გამართვის ნებართვასაც თხოულობდნენ. ახლად შეძენილი წიგნების რიცხვი, რა გინდ მცირე ყოფილიყო, წიგნთ-საცავს მაინც ოფიციალურად დაარსებულს ეძახდნენ. დასასრულ ერთი ფრიად სასარგებლო წესი შემოიღეს, რომ წიგნები ჩქარა გაევრცელებიათ სოფლებში; ეს წესი გახლავთ „მოძრავი წიგნთ-საცავების", დაარსება, რომლის დანიშნულება ისაა, რომ ყუთებში ჩაწყობილს საკითხავ წიგნებს ჰგზავნის ერთს სოფელში. ამ სოფელში წაიკითხვენ თუ არა, მეორე სოფელში გადააქვთ, მეორედამ—მესამეში და ამ ნაირად წიგნებს ჩამოატარებენ ბევრს სოფლებში. ამის შემდეგ იმავე სოფელში ახალს წიგნებს ჰგზავნიან და ძველი წიგნები-კი სულ სხვა სოფლებში იგზავნება.

გარდა წიგნთ საცავებისა, დიდი ყურადღება მიაქციეს საჯაროდ ლექციების კითხვას. სამი წლის შემდეგ სახალხო ლექციების კითხვას ჰმართავდა 16 წრე. ამ საქმის წინ-სვლას რამდენიმე დაბრკოლება იმ გარემოებამ შეახვედრა, რომ სოფლებში ლექციების მკითხველნი იშვიათად იყვნენ. მაგრამ ხალხის საბედნიეროდ ამ ტკივილსაც წამალი დაედო. ბევრს დაბა-სოფელში ეს საქმე სოფელში მყოფთ ნასწავლთ იკისრეს, რომელთაც მასემ მიჰმართა თხოვნით და ეს საქმე დაავალა. მაგ.—ერთს სოფელში სახალხო ლექციები წაიკითხა მეაფთიაქემ ქიმიიდამ, ვარსკლავ-მრიცხველობაზე ანუ ასტრონომიაზე—სოფლის მმართველმა, სხვა-და-სხვა მცენარეებზედ (ბოტანიკიდამ) მღვდელმა. ლექციების წამკითხველნი დიდს ყურადღებას აქცევდნენ მეურნეობას და სხვა ამ ნაირს ხალხისათვის დიდად საჭირო საგნებს.

„ლიგა" მარტო მხნელ-მთესველ ხალხსა და ქალაქის ცხოვრებაზე არ შეჩერებულა: ბევრს ადგილს დააარსა წიგნთ-საცავები საავადმყოფოებში, სატუსაღოში და ჯარის კაცთა სადგომებში (ყაზარმებში). დაბალი ხალხი თან-და-თან შეეჩვია წიგნების კითხვას და ლექციების მოსმენას. განსაკუთრებით აუარებელი ხალხი ლექციებს მოაწყდებოდა. ამას, სხვათა შორის, შემდეგი გარემოებაც ამტკიცებს: ერთს მკურნალს, რომელსაც ის-ის იყო დაესრულებია ლექციის კითხვა და შინ მიდიოდა, პოლიციელი შეხვდა და აი როგორი საყვედური უთხრა: „სულ თქვენი ბრალია, რომ დღეს ტყუილ-უბრალოდ მოვცდი. გამოგზავნილი ვარ დუქნებში და სირაჯ-ხანებში წესიერების დასაცავად და თქვენი ლექციების მეოხებით-კი იქ ერთი კაციც აღარ დამიხვდაო.

ერთი საგანი „ლიგისა" მდგომარეობდა იმაში, რომ პატარა ყმაწვილებისათვის სკოლები დაეარსებინათ, მაგრამ ეს საქმე პირველ ხანებში როგორღაც კუს ნაბიჯით მიდიოდა. ეს არა-სასიამოვნო ამბავი იმით აიხსნება, რომ სკოლის გახსნა ღონისძიებას თხოულობდა და ამის გარდა სკოლების გამართვის დიდი მოთხოვნილება მაინც-და-მაინც არ იყო, რადგან უმეტესობა იმ ყმაწვილებისა, რომელნიც უსაქმოდ და ბედის ანაბარად იყვნენ, უსწავლელნი რჩებოდნენ სკოლების უქონლობის გამო-კი არა, არამედ უკიდურეს სიღარიბისა გამო *). ამიტომ „ლიგის" წევრებმა თავს იდვეს, ეძებნათ ღარიბ-ღატაკი ხალხის შვილები და მიებარებიათ სკოლებში, სადაც სწავლის ფულს თითონვე აძლევდნენ. ამ „ლიგის" დამაარსებელიც თითონ შეუდგა იმ გვარ ყმაწვილების ძებნას. შენიშნავდა თუ არა ქუჩაში ცუდად მოხეტიალე ყმაწვილს, მასვე ჩაავლებდა ხელს და იქვე სკოლაში შეიყვანდა, სადაც სწავლის ფულის მაშინვე იხდიდა.

ბოლოს „ლიგის" წევრებმა მიაქციეს ყურადღება სახალხო კლუბების დაარსებას. სამოციან წლებში საფრანგეთის ერთს სოფელში გამართეს სახალხო კლუბი, რისთვისაც ააგეს დიდი შენობა, და შიგ მოათავსეს ბიბლიოთეკა, მუზეუმი და რამდენიმე დიდი დარბაზი წარმოდგენისა და ლექციების კითხვის გასამართავად. ამ კლუბში თავისუფალს დროზე მუშა-ხალხი გროვდება ერთმანეთთან საბაასოდ, გაზეთების და ჟურნალების საკითხავად, დომინისა და ჭანდრაკის სათამაშოდ; ქაღალდის (ბანქოს) თამაში-კი ყველა ამისთანა კლუბში სასტიკად აღკრძალულია.

ამ ნაირად მასეს დაწყებული საქმე თან-და-თან იზრდებოდა და წარმატებაში შედიოდა. 1881 წ. შესდგა საზოგადო კრება ლიგის ყველა „წრეებისა", და ამ კრებაზე მასემ, სხვათა შორის, სთქვა შემდეგი: „ბევრი ჭირი და უბედურება გამოვსცადეთ, ბევრი შრომა გავწიეთ და ბევრი ოფლიც დავღვარეთ, ვიდრე თავისუფალი გავხდებოდით. ეხლა ვეცდოთ დავიცვათ ეს თავისუფლება, და ეს-კი მაშინ შეიძლება, როცა თითოეული ჩვენგანი ამ თავისუფლების დარაჯი იქნება."

ამ „ლიგას" შარშანწინ, 23 წ. შემდეგ დაარსებიდამ, 1200 წრე ჰქონდა საფრანგეთში მდაბიო ხალხში ცოდნის გასავრცელებლად და უმეცრების წყვდიადის გასაქარწყლებლად. ამ ჟამად იგი უფრო და უფრო წარმატებაში შედის და, მასეს თქმისა არ იყოს, ფიცხლს „საჯაროსნო ომს უცხადებს ხალხის უმეცრებას."

ასეთია ნაყოფი ამ ერთის კაცის კერძოდ მოღვაწეობისა საფრანგეთის სახალხო განათლების საქმეში. ამას დაუმატეთ კიდევ ის, რასაც თვითონ მთავრობა აკეთებს, და თქვენ დარწმუნდებით, რომ ამ ქვეყანაში, განურჩევლად ყველასათვის, მარტო მზე არ ანათებს. ორი-სამი წლის წინად მასეს ლიგის დაარსებამდის მთავრობისაგან დანიშნულმა კომისიებმა შეჰკრიბა დაწვრილებით ცნობები, თუ რა მდგომარეობაშია საფრანგეთში ხალხის სწავლა-განათლების საქმე და ამ ცნობებიდამ ცხადად გამოჩნდა, რომ მდაბიო ხალხის უმრავლესობამ წერა კითხვა სრულებით არ იცოდა. ახლა წერა-კითხვის არა-მცოდნეთა რიცხვი საფრანგეთში ანგარიშში მისაღები არ არის იმის შედარებით, რაც წინეთ იყო.

ი. ხოტეველი

*) როგორც საფრანგეთში, ისე ბევრს სხვა დასავლეთ-ევროპის სახელმწიფოში პირველ-დაწყებითი სწავლა სავალდებულოა ყველასათვის, ე. ი. რაკი ყმაწვილი სკოლაში შესავლის ხნისა გახდება, სასწავლებელში უნდა ატარონ 13 წლამდე; წინაამდეგ შემთხვევაში კანონი მშობლებს სამართალში აძლევს და სჯის.

## წვრილი ამბები

ახირებული ხუმრობა. ლონდონში ამას წინად მცხოვრთა აღწერა იყო. თითოეულს სახლის უფროს თითო ფურცელი ქაღალდი დაურიგეს, რომელზედაც საჭირო საკითხები იყო დაბეჭდილი. სახლის უფროსს ამ საკითხავისათვის პასუხი უნდა გაეცა. მაგრამ ზოგიერთებმა პასუხის მაგიერად ახირებული ხუმრობა დასწერეს და ისე გაგზავნეს, სადაც ჯერ იყო. სასტატისტიკო განყოფილების უფროსმა ასეთი ხუმრობა უადგილოდ იცნო და მოხუმარნი სამართალში მისცა. სამართალშია მიცემული, სხვათა შორის, ლორდ ჯემს დუგლასი, რომელმაც შემდეგ საკითხზე „რას საქმობს თქვენი ცოლი"?—ასეთი პასუხი მისცა: „ჩემი ცოლი გადარეულია და ქუჩებს ჰგვის" (ე. ი. გრძელ კაბებს ატარებსო). „რას საქმობს თქვენი შვილი?—„ნიადაგ ჩექმებსა სწმენდს". ლორდ დუგლასზე უფრო უცნაური პასუხი ბრიჯერ ჰენიგერმა დასწერა: „მე და ჩემი ცოლი და ჩვენი სამი შვილი დღეს, 5 აპრილს, საკუთარს სახლში ვართ. ყველა დანარჩენი საკითხი უადგილოდ მიმაჩნია და არც მინდა პასუხი გავსცე". ჰენიგერიც სამართალშია მიცემული და არავინ იცის, როგორ გაასამართლებენ ამ ახირებულ მოხუმართა.

ლომთა სასწავლებელი. ევროპაში ბევრს ალაგას არის ისეთი სასწავლებელი, სადაც ლომებს სწვრთნიან და იქიდამ მხეცთა დამამშვიდებელთ აძლევენ. უმთავრესი სასწავლებელი ლომთა გაწვრთნისა მადრიდში არსებობს. ამ სასწავლებლის დირექტორს, ვინ იცის, რამდენი ლომი გაუზრდია და გაუწვრთნია. მართალია, ბევრმა იმათგანმა ვერ შეითვისა სიმშვიდის გაკვეთილება და სკოლიდამ გამოსვლის შემდეგ ისევ ძველს გზას დაადგა და თავიანთი დამამშვიდებელი დაგლიჯა, მაგრამ სკოლის სახელს ამითი მაინც არაფერი აკლდება და დიდი შემოსავალიც აქვს. მადრიდში გაწვრთნილს ლომებს უმეტეს ნაწილად ინგლისელები ყიდულობენ.

თვით მოსიარულე ეტლი. ამ ხუთმეტის დღის წინად პარიჟში გამოსცადეს ახლად-მოგონებული თვით-მოსიარულე ეტლი, რომელიც, რასაკვირველია, თავის თავად უცხენოდ დადის. გამოცდას სასურველი შედეგი მოჰყვა. თვით მოსიარულე ეტლი არავითარს უწესოებას არ ახდენს. ეს ეტლი მშვენივრად გაკეთებულს „ფაეტონს" მიაგავს და შიგ ექვსი კაცის ადგილია, სადაც გინდათ იქ

---

გმირობის რაინდობა ჩირქსა სცხებს. სახეში შეაყავს ჩვენი საზოგადოება, ის ნორჩი ქმნილება, რომლის შესახებაც ჯერ არ შეუდგენიათ დამკვიდრებული აზრი და რომლის მერმისიც ბევრს საეჭვოდ მიაჩნია. თუმცა იქ, პარიჟში, ანარქიელების უწესო ქცევისათვის—საფრანგეთის ხალხს არვინ ჰკიცხავდა, მაგრამ აქ ჩვენში-კი ჩვენ სხვანაირად გვექცევიან. რაღა თქმა უნდა, ქუთაისში მომხდარი ამბები ხელზე დასახვევ საგნად ექმნებათ ზოგიერთა ვაჟ-ბატონებს და თავს ნებას მისცემენ ნიშნმოგებით გვითხრან: „აჰა, არც ეხლა გაჩუმდებით, თქვე უგუნურნო, თქვენაო: ხომ ჰხედავთ თქვენის საქმისა არა გაგეგებათ რა! დაჩუმდით, მიყუჩდით"! და მერე ვინ უნდა ათქმევინოს ეს, ვინ? იმერლობამ.

გახსოვს, ლუკა, მე და შენ ერთს ზაფხულს, ორივ ტეტიები, იმერეთში ყოფნის დროს, რა რიგ აღტაცებით ვუყურებდით ბევრს იმას, რაც იქ შეგვხვედრია, რამდენი იმედი მოუცია ჩვენთვის იქ ნახულს და გაგონილს, და ეხლა-კი... მართალია, ამ მოკლე ხანში ეგ ორჯელ მიუყენებია შეურაცხყოფა იმერეთს ქართლურის თავ მოყვარეობისათვის ჯერ იმითი, რომ დაჰბადა ფუჭი „აშორდიზმი" და მეორე მით, რომ დროებით გაამარჯვებინა იმათ, ვისაც ხმის ამოღების ნებაც არ უნდა ჰქონოდა. მაგრამ ეჰ, ამავე დროს ხომ გეინახავს, რომ რაც-კი საგულისხმიერო რამ ყოფილა, უთუოდ ან სათავე, ან გულ მხურვალე თანაგრძნობა იმერეთს გამოუჩენია. მაშ რაღ უნდა დავკარგოთ იმედი იმ ქვეყნისა, სადაც ერთს ბოროტებას ოცი სიკეთე მოსდევს საზოგადო საქმეში. აბა, გადავათვალიეროთ შემომწირველების სიები. სკოლების რიცხვი და სხვ.

აი კიდევ მაგალითი: იმავე იმერეთში ვინმე მეგრელი ვასო მასხულია მისცემია მწარე ფიქრებს, რა დაუნახავს ჩვენის ქვეყნის დიდი დაქვეითება. თავის მწარე ფიქრებს ბ-ნი მასხულია გამოსთქვამს „მწყემსის" ფურცლებზედ და გამოსთქვამს ისე უბრალოდ, უეშმაკოდ, რომ გაგიტაცებს, დაგიყოლიებს. მე არ ვიცნობ ვასო მასხულიას, მაგრამ ჩემი ოცნება მიხატავს, რომ ვითომ ის შორს სამეგრელოში, ცხრა მთას იქით, დიდ ტყეებში რომ მომწყვდეული სოფელია, იქ სცხოვრობს უთუოდ. რა აუწონ დაუწონია იქ ჩვენი გარემოება, დაუნახავს, რომ უმთავრესი მიზეზი ჩვენის უბედურობისა არის ჩვენი გაუნათლებლობა. ამ აზრიდამ საკვირველის სიადვილით გადადის იმ აზრზედ, რომ განათლებისთვის ფული გვინდა; ფულს უნდა მოგროვება; რადგან ქართველების რიცხვი ორ-მილიონამდე არის—შეიძლება ხუთის წლის განმავლობაში ქართველობამ შეჰკრიფოს თორმეტი მილიონი. მაგრამ უმჯობესია აქ თვით მასხულიას დაეუთმო ადგილი და მასვე წარმოვათქმევინო თავისი აზრი ამ თორმეტის მილიონის შეკრების შესახებ. მოსკოვში არ მოგვდიოდა ხოლმე „მწყემსი" და შესაძლებელია შენ არ წაგეკითხოს ეს წერილი. აი რას ამბობს მასხულია თავის ვრცელს წერილში: „... სულ ქართველები ორ მილიონამდე ვართ; აქედამ ნახევარი მილიონი გამოვიდეთ, რომელსაც, ვსთქვათ, არ შეუძლიან ფულის გარდახდა, დარჩა მილლიონ ნახევარი; ამ მილლიონ ნახევარში ორასი ათასი მაინც იქნება შეძლებული: თავად-აზნაურობა, სამღვდელოება, ვაჭრები და ჯამაგირიანი კაცები. დარჩა ერთი მილლიონი სამასი ათასი კაცი, რომლებსაც აქვს შეძლება მცირე გარდასახადისა. ორასი ათასმა კაცმა დავიდოთ წლიური გარდასახადი 5 მანეთი ხუთის წლის ვადით, ე. ი. თითოეულმა კაცმა ხუთ წელიწადს გადიხადოს 25 მანეთი, მეტს ნუ შევაწუხებთ. ორასის ათასის კაცის ხუთის წლის გარდასახადი შეადგენს ხუთს მილიონს მანეთს. დანარჩენმა ერთმა მილიონმა და სამასი ათასმა კაცმა წლიური გარდასახადი თითოეულმა დაიდოს სულ მცირე—მანეთი წელიწადში. ეს შემოსავალიც რომ მივუმატოთ ხუთ მილიონს, შესდგება სულ $11\frac{1}{2}$ მილიონი. გარდა ამისა გარეშე ერნიც რომ დაინახავენ ასეთ ჩვენს მეცადინეობას, არც ისინი დაიშურებენ შეწევნას, ამას მიჰყვება წვრილმანი შეწირულებანიც, და დღეს რომ ეს საქმე დავიწყოთ, 1894 წელს ჩვენ გვექნება მოგროვილი 12 მილიონი მანეთი. გარდა ამისა განა ცოტა არის ჩვენში ისეთები, რომ ხუთი მანეთი-კი არა, ხუთი და ათი თუმანი არ

ეროვნული ბიბლიოთეკა

მიატრ მოატრიალებთ და, როცა გინდათ, მაშინვე გააჩერებთ. გამომგონი ამ ეტლისა სერპელეა, რომელსაც მეეტლენი, რაღა თქმა უნდა, დიდის მტრობითა და შურით უცქერიან,

ოინი. ამ ხანად პარიჟის ერთს საუკეთესო სასტუმროში ერთი ბრგე და მაღალის ტანის ფრანგი შევიდა და პურის საჭმელს მაგიდას მიუჯდა. ამ ფრანგს ერთი კემბა და ხანჯაგვლიანი ძაღლი ახლდა და ისიც თავის პატრონთან ერთად დაჯდა.

— მომიტანეთ ერთი გერმი კარგი ბიფშტეკსი, —უთხრა ფრანგმა მოსამსახურეს.

— მეც ბიფშტეკსი მომიტანეთ, მაგრამ კარტოფილიანი იყოს-კი, —უბრძანა ძაღლმა ბოხის ხმით.

გაოცებული მოსამსახურე იდგა და ხმის ამოღებას ვერ ახერხებდა, მხოლოდ გაკვირვებული თვალები ფრანგისა და იმის ძაღლისათვის მიეშტერებია. დასასრულ ფრანგმა შესძახა:

— მოგვიტანე, რაც დაგიკვეთეთ.

არ გასულა მეოთხედი საათი, რომ მოსამსახურემ ორი გერმი ბიფშტეკსი მიურბენინა ფრანგი და ძაღლი თან საუზმეს შეექცეოდნენ და თანაც საუბრობდნენ. ძაღლმა, როგორც მოსალოდნელი იყო, უწინ გაათავა თავისი გერმი და ხმა მაღლა უთხრა მოსამსახურეს:

— აბა, ერთი ნაჭერი ყველიც მომიტანეთ.

იმავე სასტუმროში ერთი ინგლისელი იჯდა და დიდის ცნობის მოყვარეობით უკვირდებოდა და სინჯავდა ფრანგსა და იმის საოცარს ძაღლს. ბოლოს გულმა ვერ გაუძლო და იმათთან მივიდა.

— მომიტევეთ, გეთაყვა, კადნიერება, —სთქვა მართებულმა ინგლისელმა, —არ მომყიდით თქვენს ძაღლს?

— რატომ არა, მაგრამ მე მგონია, თქვენ იმისი ფასი გედიდებათ, სხლო უფრო იაფად კი ვერ მოგცემთ.

— ამაზე თქვენ სრულიადაც ნუ შესწუხდებით, უპასუხა ინგლისელმა. —ძაღლი ხომ ლაპარაკობს?

— სამს ენაზედ.

— რამდენად აფასებთ?

— ოც და ხუთი ათას ფრანკზე ნაკლებად ვეღარ დაგითმობთ—მიუგო მხიარულად ფრანგმა.

ინგლისელს წარბიც არ შეუხრია. ამოიღო ჯიბიდგამ ქისა და მიუთვალა ფრანგს 25,000 ფრანკი, რის ნაცვლადაც ფრანგმა მისი მოლაპარაკე ძაღლი მისცა, რომელიც თავის ძველს პატრონს თვალს არ აშორებდა. როცა კარებს მიუახლოვდნენ, ძაღლი უცებ გაჩერდა, თავი გაიქნ-გამოიქნია და დიდის შეწუხებით წამოიძახა:

— ხომ ასე? გამყიდე ხომ? კარგი. აი, რა სასყიდელი მივიღე შენგან ამდენის ხნის ერთგულად სამსახურისათვის! მაგრამ იცოდე, შე უმადურო, რომ ამიერიდგან მე ერთს სიტყვასაც აღარ ვიტყვი.

ინგლისელს ამისათვის არც-კი მიუქცევია ყურადღება, ძაღლი წაიყვანა და წავიდა.

აღმოჩნდა, რომ ეს საოცარი ამბავი სულ მოხერხებულის ფრანგის ოინი იყო, რომელიც „მუცლით მოლაპარაკე" იყო თურმე და ძაღლის მაგიერ თითონ ლაპარაკობდა.

## წერილი რედაქციის მიმართ

ამასთანავე გიგზავნით ჩემ მიერ შეგროვილს დ. ოჩამჩირეში განსვენებულის ბაქრაძის ფონდის სასარგებლოდ სამოცდა-თუთხმეტ მანეთსა და თერთმეტს შაურს. გთხოვთ დაჰბეჭდოთ სია შემომწირველთა:

თეიმურაზ ჩაჩავამ 2 მან., ბლაღ. მღვდელმა ივანე გერესელიძემ 2 მან., იასონ გეგელაშვილმა 1 მან., ქაიხოსრო მახარაძემ 2 მან., გოგია ქვირაიამ 1 მან., პეტრე ჭარაიამ 1 მან., მღვდელმა პარმენ ფარეიშვილმა 1 მან., გუდუ ნორაკიძემ 1 მან. 60 კაპ., თავ. ალექსი ემუხვარიმ 1 მან., მურზა ლატარიამ 1 მან., ყარამან ლაბარტყავამ 1 მან., გიგო მინჯიამ 1 მან., ბახვა ჩოჩიამ 1 მან., ბესარიონ გუნიამ 50 კაპ., ანდრია შენგელაიამ 1 მან., ივანე ტაბიძემ 1 მან., გუთუ გვასალიამ 1 მან., ნესტორ მამცელიძემ 20 კაპ., ფარნა დავითაიამ 1 მან.; გიორგი გოგიავამ 50 კაპ., ტაგუ ბოკუჩავამ 1 მან., ალექსი გოდუამ 1 მან., პროკოფი საბაშვილი 1 მან. 50 კაპ., ივანე ლაკირბაიამ 1 მან., ანთიმოს ტრაპაიძემ 1 მან., ფარნა ჯავახიამ 1 მან., ბესარიონ ჭურღულიამ 1 მან., იოსებ გოგოტიშვილმა 1 მან., სტეფან ქორქიამ 1 მან., კონსტანტინე ყორდანიამ 1 მან., მიხაილ ჩხეტიამ 50 კაპ., ისიდორე მერჭვილემ 50 კაპ., გიორგი აბაშიძემ 2 მან., გიორგი ხუტუღაშვილმა 1 მან., მიხაილ კუზანოვმა 2 მან., კონსტანტინე აქირთავამ 50 კაპ., კონსტანტინე წერეთელმა 2 მან., გუდუ ლოლუამ 1 მან., პასკალა მინჯიამ 1 მან, ილია თვალთვაძემ 50 კაპ., თავ. ხაბეკი ანჩაბაძემ 1 მან., კოტატი ელიავამ 1 მან., ქრისტო სიმონის ძე საბაშვილმა 2 მან., ბესარიონ რუხაძემ 1 მან., სისო თურქიამ 2 მან, ბესო ტაბიძემ 1 მან., ჯურუმია ტუებუჩავამ 1 მან., მღვდ. იესე ყორდანიამ 1 მან., №№ 30 კაპ., თავ. გრიგოლ ემუხვარმა 1 მან., თავ. ნიკო ჩხოტუამ 1 მან., სიმონ გოგიამ 1 მან., თეიმურაზ ნორაკიძემ 1 მ.ნ., მღვდ. იესე საჯაიამ 1 მან., მღვდ. მათე ხარებავამ 1 მან, ბართლომე ხარებავამ 1 მან., მღვდელმა დიმიტრი ხონელიძემ 1 მან., მასწავლებელმა ოჩემჩირეს სკოლისა აზ. თომა ეშბაიამ 1 მან., გიორგი ცანავამ 30 კაპ., თავ. ალექსანდრე შერვაშიძემ 1 მან., ამბაკო კაკაბაძემ 50 კაპ., მიხაილ დოჩიამ 25 კაპ., გასილ კაკაბაძემ 20 კაპ., ჩანთო ადამიამ 20 კაპ., ომარი ოჩრალ-ოღლიმ 20 კაპ., მღვდელმა ნიკოლოზ ჯგუშიამ 1 მან., №№ 20 კაპ., სერგეი ბლახვანცოვმა 1 მან., გოგი საჯონავამ 1 მან., ბახვა ჩაჩიბაიამ 1 მან., დარისპან ელიავამ 1 მან., ყარამან ბარკალაიამ 1 მან., ყარამან ჯავახიამ 1 მან., კოწია გოგიავამ 1 მან., ტაგუ კვარაცხელიამ 30 კაპ., თარხან ლაკერბაიამ 1 მან., ნესტორ გეგელიამ 50 კაპ., ანდრია ჯაფარიძემ 1 მან.

ქაიხოსრო მახარაძე

## დღეს

### 13 აპრილი

პეტერბურგი. სახალხო განათლების სამინისტროს მოჰყავს ვრცელი სია იმ უსაზედობა-ფათერაკისა, რომელიც შეემთხვევათ ხოლმე სკოლების შეგირდებს, უფრო მცირე-წლოვან ყმაწვილებს, იმის გამო, რომ სიფრთხილით არ ეკიდებიან თოფ იარაღს. ამიტომ სამინისტრო სთხოვს მშობლებსა და მზრუნველებს, მიაქციეთ ამ გარემოების ყურადღება და იხმარეთ ყოველგვარი ღონის ძიება, რაც-კი თქვენს ხელშია, რათა დაიფაროთ სიცოცხლე ყმაწვილებისათ.

ტიარიო. ადმირალმა დიუპერემ დიდის ამბით გაუმართა სადილი ქალაქის მთავრობის წარმომადგენელთა და ესკადრის უფროს აფიცრებს ჯავშნიან ხომალდ „Formidable"-ში. სადილად იყო მიწვეული აგრეთვე კომანდირი რუსეთის კრეისერისა. დიუპერემ ადღეგრძელა რუსეთი, რუსეთის ფლოტი და კომანდირი კრეისერისა; დაჰლია სადღეგრძელო დიდის მთავრის გიორგი ალექსანდრეს ძისა, რომელსაც კორსიკა ისე იღებს, როგორც თავის სტუმარს და რომლის მალე მოჩენა ჰსურსო. რუსეთის კრეისერის კომანდირმა დიდი მადლობა გადაუხადა და ადღეგრძელა დიუპერე, ესკადრა, საფრანგეთის ფლოტი და საფრანგეთი. ამ სადღეგრძელოს დიდის ტაშის-კვრით მიეგებნენ.

დიდმა მთავარმა გიორგი ალექსანდრეს ძემ, აღტაცებულმა ქვეყნის შვენიერებით და ჰავის სიკეთით, გადასწყვიტა კიდევ დარჩეს ვიცავონს; სამის დღის წინად მისმა უმაღლესობამ ინადირა გარეულ ღორებზედ, ხოლო გუშინ—გარეულ ცხვრებზედ.

პარიჟი. გარეშე საქმეთა მინისტრად ნამყოფი ფლურანსი და სხვანი გუშინ გაემგზავრნენ მოსკოვს.

ბერლინი. გენერალ ფელდმარშალი მოლტკე, რომელიც ნაშუადღევს, რეიხსტაგის კრების შემდეგ, დაესწრო ზედა-პალატის კრებას, გუშინ საღამოს $9^3/_4$ საათზედ მშვიდად და წყნარად გარდაიცვალა გულის სიდამბლით.

პეტერბურგი. უმაღლესი მანიფესტი, 13 აპრილის თარიღით: სასურველმა რძალმა ჩვენმა დიდმა მთავრინამ ელისაბედ თეოდორეს ასულმა, იგრძნო და შეიგნო-რა თავის მეუღლეს დახმარებით ჭეშმარიტება მართლ-მადიდებლობისა, თავის კეთილის სურვილით მოიწადინა ჩვენთან ერთად ერთს სარწმუნოებაში ყოფნა. დღეს, ჩვენდა დიდად სასიხარულოდ, მიიღომან ჩვენი მართლ-მადიდებელი სარწმუნოება და იქმნა მირონ-ცხებული. გვიუწყებია-რა ყველა ჩვენ ერთგულ ქვეშევრდომთათვის ეს სასურველი ამბავი, გვიბრძანებია სახელდება მისი ასე: მისი იმპერატორებითი უმაღლესობა კეთილ-მორწმუნე დიდი მთავრინა.

### 14 აპრილი

პეტერბურგი. ვოლგა-კამის ბანკის აქციონერების საზოგადო კრებამ დაამტკიცა ანგარიში 1890 წლისა. წმინდა მოგება ბანკისა არის 2,885,610 მან. აქედამ დივიდენდათ მიეცათ აქციონერებს 1,920,000 მან., ანუ $19^1/_5$% სათადარიგო თანხაში გადაიდო 57.712 მან., რის გამოც ეს თანხა დღეს არის 3,616,902 მან. რეზერვის დივიდენდი გახდა 941,862 მან.

ტიარიო. ადმირალი დიუპერე გუშინ ვიცავონს წავიდა და გამოეთხოვა დიდს მთავარს გიორგი ალექსანდრეს ძეს, რომელიც დღეს დაბრუნდება ტიარიოს.

ალჟირი. საქალაქო საბჭომ ერთხმად გადასწყვიტა მადლობა გამოუცხადოს დიდს მთავარს გიორგი ალექსანდრეს ძეს იმ შეწირულებისათვის, რომელიც მისმა უმაღლესობამ ინება ალჟირის სამადლო დაწესებულებათა სასარგებლოდ.

### 15 აპრილი

პეტერბურგი. დიდის მთავრის ნიკოლოზ ნიკოლოზის ძის უფროსის გარდაცვალებისა გამო უმაღლეს კარზე პირველის ხუთის კლასის მოხელეთათვის სამგლოვიაროდ სამი თვე დაინიშნა 13 აპრილიდამ დაწყებული.

დღეს ისააკის ტაძარში გადახდილ იქნება პანაშვიდი გარდაცვალებულის დიდის მთავრის ნიკოლოზ ნიკოლოზის ძის უფროსის, რომელსაც დაესწრებიან სასახლის კარის კაცნი და გენერლობა.

გაზ. „Новости" იუწყება, რომ მალე დაიწყება მუშაობა იმ კომისიისა, რომელიც დაწესებულია ზღვათა სამინისტროს კანცელარიის დირექტორის თავ-მჯდომარეობით, ყრმათა აღსაზრდელ შემწეობისათვის წესების განსახილველად.

პეტერბურგის ბირჟა, 12 აპრილი.

| | მოთხოვნილია. | მიცემულია. | გარიგებულა. |
|---|---|---|---|
| | მან. კ. | მან. კ. | მან. კ. |
| ხუთ-მანეთიანი ოქრო | 6 74 | 6 76 | — „ |
| ტამოჟნის კუპონები | $134^3/_4$ | $135^1/_4$ | — „ |
| მანეთიანი ვერცხლის ფული | 1 03 | 1 05 | — „ |
| 5% პირველის შინაგანის სესხის მომგები ბილეთი | — „ | — „ | 245 |
| —მეორისა | — „ | — „ | $225^1/_2$ |
| სახელმწიფო თავად-აზნაურობის ბანკის ფურცელი | $216^3/_4$ | — „ | — „ |
| გირავნობის ფურცელნი ტფილისის ბანკისა | — „ | — „ | — „ |
| ქუთაისის ბანკისა | — „ | — „ | — „ |
| ტფილისის საურთიერთო ნდობის საზოგადოებისა | — „ | — „ | — „ |

## სამოსამართლო პალატა

სხვათა-შორის შემდეგი საქმეები გასარჩევად დანიშნული:

### 16 აპრილს

ა) სააპელაციო საჩივარი ტფილისის ოლქის სასამართლოს გარდაწყვეტილებისა გამო კაზიმარ კურსკისა, რომ-

---

გაუჭირდებათ გამოილონ ამ კეთილი საქმისთვის?

„ამდენი ფული როცა გვექნება ერთად მოგროვილი, მაშინ რას არ გავაკეთებთ? მთავრობის ნება-რთვით, გიმნაზიებს, სემინარიებს, სამეურნეო, სახელოსნო, სამოქალაქო და სასოფლო სასწავლებლებს ყოველგან დავაარსებთ. უმაღლეს სასწავლებლებსაც ავაშენებთ, წიგნებს მრავლად დავბეჭდავთ იაფ ფასად, სასიქადულო შვილებს გამოვზრდით, დედა-ენას ცამდე ავაფრენთ, მკვდარსაც ვარგებთ და ცოცხალსაც... ჟურნალ-გაზეთები ეხლა თითო-ოროლა გვაქვს და ისინიც ძლივს-ღა ითქვამენ სულს, —მაშინ სულს მოიბრუნებენ და გამრავლდებიან... ერთის სიტყვით 20—30 წლის განმავლობაში ჩვენ სამშობლოს ვეღარ ვიცნობთ, ისე გამოიცვლის კანსა და ფერს: ყველანი განვითარებული, შეგნებული და ნასწავლი ერთგული მამულის-შვილები შეიქმნებიან".

რასაკვირველია, ეს წერილი იმიტომ არ არის შესანიშნავი, რომ ვითომ გვიხატავდეს 12 მილიონის შეგროვების ნამდვილ საშუალებას; უფრო იმითია საყურადღებო, რომ აღძრავს ერთ-ერთს ისეთს საკითხავს, რომელიც უნდა აინტერესებდეს ყოველს ნამდვილს მამულიშვილს: შესაძლებელია თუ არა ჩვენს სამშობლოში განხორციელდეს ისეთი საზოგადო აზრი, როგორც არის ბ-ნ მასხულიას წინადადება. —რასაკვირველია, მასხულიას აზრის გამო შეიძლება ათას ნაირი პასუხი ითქვას, მაგრამ საზოგადოების აზრი რომ შევიტყოთ ამ საგანზედ, უნდა ავწონდავწონოთ ყველა ეს პასუხები და მაშინ შეგვეძლება დავინახოთ, რასა ჰფიქრობს საზოგადოება. საუბედუროდ, საკითხავის ჩამომგდებნი-კი გვყვანან, მაგრამ მათ შესახებ პასუხის მიმცემი ნაკლებად არიან. ჩვენ არა გვაქვს ისეთი დაწესებულება, სადაც შეიძლებოდეს საერთო აზრების ერთმანეთთან შეთანხმება. ერთად-ერთი ამ ნაირი დაწესებულება ისევ ჟურნალ-გაზეთობა არის, მაგრამ უმეტესობას ისე ეძნელება იქ თავის აზრის გამოთქმა, რომ თუ არ წრეში ძლიერ დახელოვნებული, იქ ფეხს არ შესდგამს. ამ ნაირად რჩება საერთო აზრი გამოუმჟღავნებელი.

მარტო მასხულიას წინადადებასთან, წინადადება არა რჩება უყურადღებოდ. ამ უკანასკნელ ხანში ბევრი რამ აზრი გაჩნდა ჩვენს საზოგადოებაში, მაგრამ უპასუხოდ დარჩა. ავილოთ, თუნდა, დიდათ საინტერესო პროექტი აწ განსვენებულის საზოგადო მოღვაწის მ. ზ. ყიფიანისა ვაჭრობის ამხანაგობის შესახებ. აი თითქმის წელიწადია, რაც ეს პროექტი იბეჭდებოდა „ივერია"-ში, მაგრამ აქამდინ-კი არ ვიცით, რას ჰფიქრობს იმაზედ ის ქართველობა, რომლის საკეთილ-დღეოდაც არის შედგენილი იგი პროექტი.

სამძღვარ-გარეთის და, ზოგიერთა, რუსეთის-გაზეთებს ერთი კარგი ჩვეულება აქვთ, რომლის მიბაძვა ჩვენთვის ფრიად სასარგებლო იქმნება. თვით რედაქციები ანუ კერძო კაცნი იმ გაზეთების ფურცლებზედ იძლევიან რაიმე საყურადღებო საკითხავებს და სთხოვენ წამკითხველთ პასუხი მისი გაუგზავნონ ამავე გაზეთებს. რედაქცია იმ გაზეთისა იმ პასუხებს ჰბეჭდავს, რომელსაც ყურადღების ღირსად სცნობს. ამ ნაირად გაირჩევა ხოლმე ხშირად საინტერესო საგანი და ამ ნაირადვე ჩვენც შეგვეძლო გამოგვეკვლია, შესაძლებელია თუ არა ბ-ნ მასხულიას აზრი აღსრულდეს და ან მოსაწონია თუ არა მ. ზ. ყიფიანის პროექტი ვაჭრობის საზოგადოებისა. როცა ამ პასუხებით შევიტყობდით, რომ თანამგრძნობელნი ბევრნი იქნებოდნენ, საქმის აღსრულებაც უფრო ადვილი შეიქმნებოდა.

ერთის სიტყვით, ამნაირად შეგვეძლო შეგვეტყო ყოველ შემთხვევაში, რას ჰფიქრობს უმრავლესობა და ან როგორ ჰფიქრობს ამა თუ იმ საზოგადო საჭიროების შესახებ. აბა, რაღა თქმა უნდა, ამას ბევრნაირი მნიშვნელობა აქვს, მაგრამ ყოვლისფერს თაოსნობა უნდა. კერძო კაცნი ჩვენში ძალიან იშვიათად ჰკისრულობენ რაიმე საქმის დაწყებას; ამიტომ, ვგონებ, უმჯობესი იქმნებოდა, რომ თვით რედაქციებს ეტვირთნათ ამ ნაირი საქმეებიც.

არ ვიცი, ლუკა, შენ როგორ ჰფიქრობ, და ჩემი აზრი-კი ეს არის. ველი შენს პასუხს. ჩვენს ამხანაგებს მოკითხვა უთხარი.

შენი ერთგული გ. დე—ანიძე

დიც უწივის სურამის ციხის გასაუქმებლად დარიცხულს სამგაროს 10,000 მანათს.

ბ) სააპელაციო საჩივარი ტფილისის ოლქის სასამართლოს გარდაწყვეტილების შესახებ თ.-ნ. ვახტანგ ორბელიანის ქვრივის სოფიო ორბელიანისასა, იმის გამო, რომ ვლადიმერ ვამლიუხინი ედავება გარდაცვალებულს ვ. ორბელიანის მემკვიდრეებს ფულსა და ჯარიმას გირაოსობის ქაღალდით.

გ) კერძო საჩივარი თომა საიფოვისა იმის გამო, რომ ტფილისის ოლქის სასამართლო ჩემს საქმეს შეუძლებლობის შესახებს აგვიანებსო.

დ) კერძო საჩივარი ტფილისის ოლქის სასამართლოს გარდაწყვეტილების შესახებ ივანე მაისურაძისა, რომელიც სჩივის საიფოვის ფულების განაწილების გამო მოვალეთა შორის.

## მიმოსვლა ცეცხლის გემებისა შავს ზღვაზე

ბათუმიდამ გადის: ხუთშაბათობით ნაშუადღევის 4 საათზედ მოკლე გზით და ნოვოროსიისკსა და კერჩში შეივლის.

შაბათობით საღამოს 8 საათზე შორის გზით (ყველა ნავთ-სადგურებში შეივლის).

კვირაობით საღამოთი, საზღვარ-გარეთ, სტამბოლამდე მიდის.

ბათუმში მოდის ოდესიდამ: სამშაბათობით შუა-დამისას შორის გზით.

პარასკევობით დილით ოდესიდამ მოკლეს გზით (კერჩსა და ნოვოროსიისკში შესვლით).

შაბათობით დილით სტამბოლიდამ.

ფოთიდამ ბათუმში მოდის. სამშაბათობით—იმის შემდეგ, როცა სოხუმიდამ მოდის გემი შორის გზით. ხუთშაბათობით—დილის 9 საათზე და მიასწრობს მოკლეს გზით მოსიარულე კავკასიისა და ყირიმის გემსა.

შაბათობით დილის 9 საათზე და მიასწრობს შორის გზით მოსიარულე კავკასია-ყირიმისა და რუმელია-ანატოლისკენ წამსვლელს გემებს.

ბათუმიდამ ფოთს მიდის პარასკევობითა და კვირაობით. რაკი გემი მოვა ფოთიდამ, ბათუმის სააგენტო გადასწყვეტს ხოლმე, როდის წავა უკან.

ამას გარდა ყოველ-კვირა ფოთში მოდიან ოდესიდან და ყირიმ-კავკასიის ნავთ-სადგურიდან გადაწყვეტილს ვადაზე გემები.

# განცხადებანი


ისყიდება „წერა-კითხვის საზოგადოების“ წიგნის მაღაზიაში

## ცვარი

საყმაწვილო სურათებიანი ლექსთა კრებული შ. მღვიმელისა, გამოც. ელ. ტატიშვილის მიერ. სურათები და მორთულობა ამოსჭრა გრ. ტატიშვილმა.

ფასი 30 კაპ.

გამოვიდა და ისყიდება

„წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების“ და ქართველთა ამხანაგობის წიგნის მაღაზიაში:

## ბორკილი

დრამა ოთხს მოქმედებად

თხზულება

ა. ი. სუმბათაშვილისა

თარგმანი ა. შ. ახნაზაროვისა

დრამას წინ უძღვის მთარგმნელის წინასიტყვაობა, რომელშიაც მოთავსებულია ბიბლიოგრაფია თ. სუმბათაშვილის პიესების შესახებ, და მოთხრობილია ავტორის მცირე ბიოგრაფია.

ფასი 40 კაპ.

## მიბაძვა ქრისტესი,

თომა კემპელისა

თარგმნილი ლათინურიდგან

პ. ა. მღებრიშვილის მიერ.

წიგნი I, II, III და IV ისყიდება შემდეგს ქალაქებში:

თბილისში: „წერა-კითხვის საზოგადოების“ წიგნის მაღაზიაში, სადმრთო წიგნთ-საკითხავში და ქართველთა წიგნის გამომცემ ამხანაგობის წიგნის მაღაზიაში.

გორში: არ. კალანდაძის სტამბასა და ზ. დონდაროვის მაღაზიაში.

ქუთაისში: ძმ. ჭილაძეებისა და ძმ. წერეთლების წიგნის მაღაზიაში.

ხონში: ძმ. წერეთლების წიგნის მაღაზიაში.

ოზურგეთში: გ. თავართქილაძის წიგნის მაღაზიაში.

ბათუმში: მ. ნიკოლაძის წიგნის მაღაზიაში.

ახალციხეში: ძველს ქალაქში სომხთა-კათოლიკე მღვდელ გვარამაძესთან.

მოზდოკში: კათოლიკეთა მღვდელ-პატრ გ. მუთაფოვთან.

ცხინვალში: დურმიშხან ყურულთან.

ყვირილაში: მამა დეკანოზ ღამბაშიძესთან და ფოთში: კოსტა ყაუხჩოვთან.

ფასი მთელის წიგნისა ყდითა და ოთხის სურათით 1 მ. 50 კ., უყდოდ და უსურათოდ 1 მ. (10—6)

„წერა-კითხვის საზოგადოების“ წიგნის მაღაზიამ

მიიღო გასასყიდად ახალი წიგნები.

| | მან. | კაპ. |
|---|---|---|
| Кахетія . . . . . | „ | 30 |
| Тифлисъ и его окрестности . . : . . . | „ | 40 |
| Кавказскій стѣнной календарь. რუსულ-ქართულ-სომხურ-თათრულ ენებზე | 1 | „ |
| მიბაძვა ქრისტესი წიგნი III—IV ყდით . . . | „ | 80 |
| სურამის ციხე . . . . | „ | 25 |
| საგულისხმიერო აზრები ვეფხვის ტყაოსნიდამ. . | „ | 10 |
| სამი ისტორიული ხრონიკა ე. თაყაიშვილისა. . . | 1 | „ |
| ქართული წერის დედანი და ხატვის ნიმუშები ს. დათეშიძისა . . . . | „ | 25 |
| Древнѣйшіе предѣлы разселенія грузинъ по малой Азіи А. Хаханова | „ | 50 |
| ქართული სახელმძღვანელო ნოტებისა . . . . . | „ | 60 |
| ოქროს ხოხობი, დ. დათოშვილისა . . . . . | „ | 5 |
| არჩილიანი, გამოცემ. მაჩიტაძის—დიმელისა . . | „ | 75 |
| მარაბდა პოემა ა. ფურცელაძისა . . . . . | „ | 20 |
| თხზულება რ. ერისთავისა II ნაწილი . . . . | „ | 40 |
| ქიტესა, მოთხრობა ან. ფურცელაძისა . . . . | „ | 15 |
| ბატონყმობა საქართველოში რუსეთთან შეერთებამდის, ისტორიული გამოკვლევა ა. ხახანაშვილისა. . . . . . | „ | 50 |
| დაბადება და აღზრდა ერეკლე ბატონიშვილისა ლეგენდა, ლექსად, ბაჩანასი | „ | 15 |
| კიკოლას ნაამბობი, ისტორიული პოემა აკაკისა . | „ | 20 |
| განკიცხული, მოთხრობა ა. მოჩხუბარიძისა . . . | „ | 60 |
| გრამატიკა ჟორდანიასი . | „ | 55 |

„წერა-კითხვის საზოგადოების“ წიგნის მაღაზიამ

მიიღო გასასყიდად ახალი წიგნები.

| | მან. | კაპ. |
|---|---|---|
| უკანასკნელი დღე სიკვდილით დასჯილისა, ვიქტორ ჰიუგოსი. თარ. თ. სახოკიასი. | „ | 30 |
| ხალხური ზღაპრები შეკრებილი აღნიაშვილის მიერ . | „ | 30 |
| ლექსები ნ. ბარათაშვილისა ახალი გამოცემა . . . | „ | 30 |
| რამდენიმე ლექსი ცახელისა. | „ | 15 |
| საქართველოს დიდი კალენდარი ვ. გუნიასი 1891 წ. | „ | 40 |
| სახალხო ჯიბის კალენდარი მისივე . . . . . . | „ | 10 |
| თხზულებანი გ. ერისთავისა მშვენიერს ყდაში ავტორის სურათით. . . . . | 2 | „ |
| ქართულ-რუსული ლექსიკონი დ. ჩუბინაშვილისა სამივე ნაწილი . . . . . . | 8 | „ |
| ქართული ლექსიკონი შედგენილი საბა-სულხან ორბელიანისაგან . . . . | 3 | „ |
| გზა ცხოვრებისა შედგენილი წმიდისა ალ. ლიგუორისაგან . . . . . . . | 1 | „ |
| ამძღვარი ზეცისა. . . | „ | 50 |
| წმიდათა ცხოვრება . . . | 1 | 20 |
| იგავნი ფილოსოფოს ეზოპისა . . . . . | „ | 40 |
| სიბრძნე კაცობრივი . . . | 1 | „ |
| ბრძ[illegible] . . . . . | „ | 30 |
| მოკლე სახელმძღვანელო ფრანგული ენისა. ყდით . . | „ | 50 |
| მოკლე ფრანგული გრამატიკა. | „ | 40 |
| მოკლე მსოფლიო ისტორია ძველთა და ახალთა ნათესავთა დასაბამიდგან სოფლისავიდრე დღევანდლამდე. ყდით. . . . | 1 | 20 |
| მოკლე გეოგრაფია ფიზიკებრივი, მოქალაქებრივი და ისტორიებრივი დამატებით ძველი გეოგრაფიისა . . | „ | 50 |
| მოკლე ქართული გრამმატიკა დამატებით გრამმატიკური და ლოღიკური ანალიზებისა . . . . . . | „ | 40 |
| მოკლე რეტორიკა, გინა მჭევრმეტყველება სასარგებლოდ ახალგაზდა ყმაწვილ-კაცისა. ყდით. . . . . | „ | 50 |
| მოკლე ფილოსოფია, გინა სიბრძნის მოყვარეობა, რომელიც შეიცავს ფსიხოლოღიას, ლოღიკას, ბუნებით ღვთის მეტყველებას და ზნეობას. ყდით . . | „ | 50 |
| წამება ლექსად თქმული ცხოვრება წმიდისა ესტატესა. ყდით . . . . . . . | „ | 60 |
| ყვავილების კონა, ანუ რჩეული ლექსები სასარგებლოდ ახალგაზდა ყმაწვილ კაცთა. | „ | 50 |
| საქართველოს სამოთხე საბინინისა ოცდა შვიდი სურათით . . . . . | 10 | „ |
| Книга Калилаһ и Диманаһ или сборникъ Басенъ извѣстныхъ подъ именемъ басенъ Бидпая, переводъ съ арабскаго М. О. Аттая и М. В. Рябинина, цѣна. . . | 3 | „ |
| Матеріалы для русской исторіи, С. Ал. Бѣлокурова . . . . . . . | 3 | „ |
| Сношенія Россіи съ Кавказомъ, С. А. Бѣлокурова . . . . . . . | 3 | „ |
| Поѣздка старца Арсенія Суханова въ Грузію 1637—1640 гг. . . | „ | 25 |

საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი

## ივერია

1891 წ. 1-ს იანვრიდამ გამოვა ყოველ-დღე გარდა იმ დღეებისა, რომელნიც ზედ მოსდევენ კვირა-უქმეებს.

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 12 თვეით . . . | 10 მ.—კ. | | 6 თვეით . . . | 6 მ.—კ. |
| 11 „ . . . | 9 „ 50 „ | | 5 „ . . . | 5 „ 25 „ |
| 10 „ . . . | 8 „ 75 „ | | 4 „ . . . | 4 „ 70 „ |
| 9 „ . . . | 8 „ — „ | | 3 „ . . . | 3 „ 50 „ |
| 8 „ . . . | 7 „ 25 „ | | 2 „ . . . | 2 „ 50 „ |
| 7 „ . . . | 6 „ 50 „ | | 1 „ . . . | 1 „ 75 „ |

საზღვარ-გარეთ დაბარებული ეღირება 17 მან. მთელის წლით. სოფლის მასწავლებელთ „ივერია“ მთელის წლით დაეთმობათ 8 მან. ტფილისის გარედ მცხოვრებთ უნდა დაიბარონ გაზეთი შემდეგის ადრესით:

**Тифлисъ, Въ редакцію газеты „ИВЕРІЯ“.**

თუ ტფილისში დაკვეთილი გაზეთი ტფილისის გარეშე ადრესზედ შესცვალა ვინმე, უნდა წარმოადგინოს რედაქციაში ერთი მანათი; სხვა ყოველის ადრესის შეცვლაზე—40 კაპ.

თუ თვეის განმავლობაში დაიკვეთა ვინმემ გაზეთი არა მთელის წლით, იმას მხოლოდ შემდეგის თვეის პირველ დღიდგან გაეგზავნება. განცხადებანი მიიღებიან გაზეთის რედაქციაში.

ფასი განცხადების დაბეჭდვისათვის:

ა) მეოთხე გვერდზედ თითოჯერ სტრიქონი 8 კაპ., პირველზე—16 კაპ. ბ) სრული უკანასკნელი გვერდი 30 მანათი, ხოლო პირველი გვერდი—60 მანათი. რიცხვი სტრიქონებისა გამოიანგარიშება იმის კვალობაზე, რამდენს ადგილსაც დაიჭერს 25 ასო გაზეთის ტექსტისა.

ხელ-ნაწერი და საგაზეთოდ დანიშნული წერილები (კორრესპონდენციები) რედაქციის სახელობაზედ უნდა გამოიგზავნოს. მიღებული ხელ-ნაწერები, არა საგაზეთო წერილები, თუ საჭიროება მოითხოვს, ან შემოკლებულ, ან შესწორებულ იქმნება. არ-დასაბეჭდს ხელ-ნაწერებს, თუ ერთის თვეის განმავლობაში პატრონებმა არ მოიკითხეს, მერე რედაქციას ვეღარ მოსთხოვენ.

არა-ვგარს მიწერ-მოწერას არ-დასაბეჭდთა ხელ-ნაწერებისა და წერილების შესახებ რედაქცია არა კისრულობს.

პირდაპირ მოლაპარაკებისათვის რედაქცია თავისუფალი იქნება ყოველ დღე, კვირა-უქმეებს გარდა, პირველ საათიდგან სამ საათამდე და საღამოობით 7-დგან 8 საათამდე.

რედაქცია იმყოფება: კუკიაში, ნიკოლოზის ქუჩაზე, თ. გრუზინსკისეულს სახლებში, № 21.

## ქართველთა ამხანაგობის წიგნების მაღაზიაში

ისყიდება შემდეგი ახალი წიგნები.

| | მან. | კაპ. |
|---|---|---|
| 1) „უკანასკნელი დღე სიკვდილით დასჯილისა“ ვიქტორ ჰიუგოსი, ფრანგულით თარგმანი თ. სახოკიას-მიერ . . . . | „ | 30 |
| 2) „ცვარი“ საყმაწვილო წიგნი, სურათებით შ. მღვიმელისა. | „ | 30 |
| 3) ლენტის მაგავსნი ქიები ი. თ. . . . . . . . . | „ | 5 |
| 4) ხალხური ზღაპრები, შეკრებილი აღნიაშვილის მიერ წიგნი I. | „ | 30 |
| 5) იგივე, მშვენიერის ყდით . . . . . . . . | „ | 75 |
| 6) თხზულებანი ი. დავითაშვილისა სურათით „Facsimile“-თი და ბიოგრაფიით . . . . . . . . . . . | „ | 80 |
| 7) იგივე მშვენიერის ყდით . . . . . . . . . | 1 | 25 |
| 8) „დაბადება და აღზრდა ერეკლე ბატონიშვილისა“ ლეგენდარული პოემა ბაჩანასი. . . . . . . . . . | „ | 15 |
| 9) „სურამის ციხე“ გამოც. მესამე გრ. ჩარკვიანისა . . | „ | 25 |
| 10) „მარაბდა“ პოემა ანტ. ფურცელაძისა . . . . . . | „ | 20 |
| 11) „წყალობა“ პოემა მისივე . . . . . . . . | „ | 20 |
| „ახალი ვარიანტი წმ. ნინოს ცხოვრებისა“ ანუ „მეორე ნაწილი ქართლის მოქცევისა“ გამოცემული რედაქტორობით და წინასიტყვაობით ე. თაყაიშვილისა . . . . . . . . . | „ | 40 |
| 12) ანდერძი ანტონის II, საქართველოს კათალიკოსისა, გამოცემული დ. ფურცელაძის მიერ . . . . . . . . | „ | 30 |
| 13) რამდენიმე ლექსი ცახელის. . . . . . . . . | „ | 15 |
| 14) „სამი ისტორიული ხრონიკა“ ექვ. თაყაიშვილისა . . | 1 | „ |
| 15) „Древнѣйшіе предѣлы разселенія грузинъ по Малой Азіи ა. ხახანაშვილისა. . . . . . . . | „ | 50 |
| 16) „ბატონყმობა საქართველოში რუსეთთან შეერთებამდის ისტორიული გამოკვლევა ა. ხახანაშვილისა . . . . . . | „ | 50 |
| 17) „ქართული სახელმძღვანელო ნოტებისა“ შარაბიძისა. . | „ | 60 |
| 18) „დემეტრეს სახლობა“ მოთხრ. ს. მგალობლიშვილისა. | „ | 15 |
| 19) „თამარ ბატონიშვილი“ ისტორ. რომანი რჩეულიშვილისა. | 1 | „ |
| 20) „Руско-грузинскій словарь“ вновъ составленый по новѣйшимъ русскимъ словарямъ დ. ჩუბინაშვილისა . . . | 3 | 50 |
| 21) „არჩილიანი“ გამოც. მაჩიტაძისა-დიმელისა . . . . | „ | 75 |
| 22) „მიბაძვა ქრისტესი“ თხზ. თომა კემპელიისა თარ. ლათინურიდგან ა. მღებრიშვილისა წიგნი III და IV ყდით . . . . | „ | 80 |
| 23) იგივე უყდო . . . . . . . . . . . . | „ | 60 |
| 24) „მიბაძვა ქრისტესი“ წიგნი I და II ყდით . . . . | „ | 70 |
| 25) „შვილის აღზრდა“ პედაგოგიური წერილები თ. ხუსკივაძისა | „ | 20 |
| 26) „ყმაწვილების ფიზიკური აღზრდა“ გ. იოსელიანისა . . | „ | 20 |
| 27) „ძეგლის დება“ მეფე გიორგი ბრწყინვალისა“ ნ. ურბნელისა | „ | 25 |
| 28) „იავნანამ რა ჰქმნა“ მოთხ. ი. გოგებაშვილისა . . . | „ | 10 |
| 29) „კიკოლას ნაამბობი“ ისტ. პოემა აკაკისა . . . . | „ | 20 |
| 30) „ბორკილი“ დრამა თარ. ახნაზაროვისა . . . . . | „ | 40 |
| 31) ქანნა—დარკ . . . . . . . . . . . . | „ | 5 |
| 32) ბერლინის გარემოცვა . . . . . . . . . . | „ | 5 |

ქალაქ გარეთ მცხოვრებთ შემდეგის ადრესით უნდა მიმართონ: *Тифлисъ.* Въ Книж. Магазинъ „Грузинскаго Издательскаго Товарищества“ Лорисъ-Меликовская ул. д Зубалова.